

**ფიზიკური პირების საბანკო მომსახურების ხელშეკრულების საერთო პირობების
დანართში №5 - ბარათი შევიდეს შემდეგი სახის ცვლილებები:**

1. შეიცვალოს 54.2.1 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„54.2.1 შეღავათი / შეღავათით სარგებლობის ფუნქციონალი გავრცელდება რომელიმე, მხოლოდ ერთ, საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის საფულეში შენახულ/დამახსოვრებულ ბარათზე / ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ზე ან პლასტიკურ ბარათზე. ამასთან, შეღავათით / შეღავათით სარგებლობის ფუნქციონალით სარგებლობა შესაძლებელია ავტომატურად, კლიენტის მიერ დამატებითი ქმედების გარეშე ან კლიენტის მიერ ბანკის მობილ ბანკით, ტელეფონ ბანკით მომსახურების, სერვის-ცენტრის ან პორტალის www.bogpay.ge-ს მეშვეობით, შემდეგი პირობების შესაბამისად:“
2. შეიცვალოს 54.2.1.1 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„54.2.1.1 კლიენტი უფლებამოსილია, ბანკის მობილ ბანკით, ტელეფონ ბანკით მომსახურების, სერვის-ცენტრის ან პორტალის www.bogpay.ge-ს მეშვეობით განსაზღვროს, შეღავათი / შეღავათით სარგებლობის ფუნქციონალი გაავრცელოს საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის საფულეში შენახულ/დამახსოვრებულ ბარათზე / ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ზე თუ პლასტიკურ ბარათზე. ამასთან:“
3. შეიცვალოს 54.2.1.2.1 ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„54.2.1.2.1. კლიენტები, რომლებიც ფლობენ მხოლოდ პლასტიკურ ბარათს, შეღავათით / შეღავათით სარგებლობის ფუნქციონალით ისარგებლებენ პლასტიკური ბარათით მზავრობის საფასურის გადახდის შემთხვევაში, მანამ, სანამ ბანკის მობილ ბანკით, ტელეფონ ბანკით მომსახურების, სერვის-ცენტრის ან პორტალის www.bogpay.ge-ს მეშვეობით თავად არ გადაიტანენ შეღავათს / შეღავათით სარგებლობის ფუნქციონალს საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის საფულეში შენახულ/დამახსოვრებულ ბარათზე / ბარათის საიდენტიფიკაციო მონაცემ(ებ)ზე, მიუხედავად იმისა რომ აღნიშნული პლასტიკური ბარათი შენახულია/დამახსოვრებულია ან შემდგომში კლიენტმა შეიძლება შეინახოს/დაიმახსოვროს საგადახდო აპლიკაციაში / საგადახდო აპლიკაციის საფულეში.“